community

The New Apostolic Church around the world

02/2023/GE

ვემსახუროთ ღმერთს

რედაქციისგან
დავძლიოთ ძველი

ღვთისმსახურება
ვიმსახუროთ და ვმართოთ
ქრისტესთან ერთად

საეკლესიო მოძღვრება
ქალების ორდინაცია: ძველი
და ახალი აღთქმა

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 დავძლიოთ ძველი

ღვთისმსახურება

4 ვიმსახუროთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

საბავშვო კუთხე

10 იესო კურნავს ათ კეთროვანს

12 სტუმრად ბრენოსთან ვარჟენ-გრანდი პაულისტაში

დოქტრინა

14 ქალების ორდინაცია: ძველი და ახალი აღთქმა

Global News

18 ქალების ორდინაცია - მოძღვრებასთან დაკავშირებული მიმოხილავა

■ თავფურცელის ფოტო: მიხეილ მონცერი
■ უკანა გვერდის ფოტო: შვეიცარიის ახსე

დავძლიოთ ძველი

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ძმებო და დებო,

ჩვენი ნათლობით - ან კონფირმაციით - დავდეთ აღთქმა, რომ დავთმობთ ძველ ადამს. ჩვენ ღიად განვაცხადეთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, რომ რწმენითა და მორჩილებით გავყვებით ღმერთს და უარს ვეტყვით ბოროტს.

ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ყველა ღონეს ვიხმართ და შევეცდებით, რომ იესოს მაგალითს მივყვეთ. ქრისტე მტკიცედ იცავდა ღვთის სიტყვას და მაშინაც იჩენდა მორჩილებას, როცა ეშმაკი სცდიდა მას უდაბნოში. ის ბოლომდე ენდობოდა მამას და, როცა ჯვარზე გაკრული ყველაზე მეტად იტანჯებოდა, მაინც დარწმუნებული იყო შემდეგში: „მამას ვუყვარვარ მე.“

მოდით, მორჩილად და სრული ნდობით მოვისმინოთ ის, რაც ქრისტეს აქვს დღეს სათქმელი. ამდენად, უფალი მოგვიწოდებს, რომ უპირველესად ღვთის სასუფეველი ვეძიოთ. არ შეიძლება, რომ ამქვეყნიურმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინოს, ვინაიდან საქმე ეხება არა მიწიერ სიცოცხლეს, არამედ საუკუნო სიცოცხლეს.

და კიდევ, ამას პიროვნული განვითარება სჭირდება. ღვთისგან მივიღეთ ნიჭები და უნდა გამოვიყენოთ ისინი. ბოლომდე უნდა ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ რწმენის შესანარჩუნებლად.

ამავე დროს აქ ლაპარაკი იმაზე არ არის, რომ მოყვასზე დიდი ვიყოთ. ადამიანებს სურთ, რომ სხვებთან შედარებით უფრო მეტი ჰქონდეთ. ღვთის სასუფეველში ამის ადგილი არ არის.

ძმებო, დებო, მოდით, გავუხსნათ გულები იესო ქრისტეს და იმას, რისი თქმაც მას ჩვენთვის დღეს უნდა.

გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

ვიმსახუროთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

ასი წლის იუბელეზე აიბენშტოკის (გერმანია) თემი პირველმოციქულის მოლოდინში იყო

ფოტოზე: მიხეილ მინცერი

გამოცხ. 20, 6

„ნეტარია და წმიდაა ის, ვისაც აქვს წილი პირველ აღდგომაში. მასზე ხელმწიფება არ აქვს მეორე სიკვდილს, არამედ ისინი იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს.“

ძვირფასო და-ძმანო, მადლობლები ვართ საყვარელი ღმერთის, რომ ამ განსაკუთრებული დღესასწაულის ერთად აღნიშვნის შესაძლებლობა მოგვეცა. ზუსტად 100 წლის წინ აქ თემის წინამძღვარი დაინიშნა, და უკვე იშვიათობას წარმოადგენს ის, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი თემი ასი წლის იუბილეს ზეიმობს. მადლობლები ვართ საყვარელი ღმერთის ყველა კურთხევისათვის, ყველა სიკეთისა და მშვენიერისათვის, რაც მან თქვენს თემს ამ ასი წლის განმავლობაში უწყალობა. თემის ცხოვრების ასი წელი - წარმოიდგინეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში იყო აღმასვლაც და დაღმასვლაც, და რომ ეს ყოველთვის მარტივი არ იყო. თუმცა საყვარელი ღმერთი ყოველთვის ერთგულად იყო მისიანების გვერდით. თქვენი წინამორბედები ამ ასი წლის მანძილზე ხშირად აღმოჩენილან სირთულეების წინაშე. მაგრამ ისინი ყოველთვის პოულობდნენ მიზეზს, რომ არ დაეყარათ ფარ-ხმალი და საქმე გაეგრძელებინათ.

საყვარელო და-ძმანო, მინდა ერთი საფრთხის გამო გაგაფრთხილოთ. ყოველი თაობა - და ისეთი

შთაბეჭდილება მრჩება, რომ განსაკუთრებით ჩვენი თაობა - იმ აზრზეა, რომ ამდენი სირთულე, რაც დღეს არის, არასოდეს ყოფილა. ეს ასე არ არის! რომელ ჩვენთაგანს უნდა ასი წლით უკან დაბრუნდეს და იმ პირობებში იცხოვროს? ერთგულების შესანარჩუნებლად ყოველთვის ბრძოლა იყო საჭირო. მის შენარჩუნებას ყოველთვის ძალისხმევა და გამძლეობა სჭირდებოდა. და თუ ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს ერთგულების შენარჩუნება, როცა ისინი სირთულეების მიუხედავად ვერანაირ მიზეზს ვერ ხედავდნენ დასათმობად, რატომ უნდა ვთქვათ დღეს: „მაგრამ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ.“ არ არსებობს მიზეზი იმისათვის, რომ პოზიციები დავთმოთ! მოდით, უბრალოდ გავყვეთ უფალს. ის, რაც მან ასი წლის წინ გააკეთა, ჩვენთვისაც გააკეთებს იგივეს მომავალში. ის ყოველთვის მოგვცემს ძალას, რამეთუ ბოლომდე ერთგულნი დავრჩეთ. მაშ, შევწყვიტოთ გამუდმებული ჩივილი და წუწუნი. დღეს იმაზე მეტი სირთულე არ არსებობს, ვიდრე ჩვენი წინაპრებისთვის იყო. უფალი ერთგულია. ის ბოლომდე აღგვჭურვავს ძალებით, რომლებიც ერთგულების შესანარჩუნებლად გვჭირდება. და ყველა, ვისაც ეს ნამდვილად სურს, მიაღწევს მიზანს.

უფალი ერთგულია! ის ერთგულების შესანარჩუნებელ ძალას მოგვცემს.

ღმერთმა აამოქმედა თავისი გეგმა, ხსნის გეგმა ჩამოაყალიბა - და ეს მან ცოდვით დაცემის შემდეგ მაშინვე გააკეთა, და ეს ადამიანებისადმი სიყვარულის გამო გააკეთა მან. ადამიანებმა დიდი სისულელე ჩაიდინეს, როცა ცოდვაში ჩავარდნენ. ღმერთმა მაშინვე თქვა: „რამეს მოვიმოქმედებ. მინდა, უკან დაგაბრუნოთ ჩემთან თანაზიარებაში. თქვენ თანაზიარება უნდა გქონდეთ ჩემთან და ერთმანეთთან.“ ამას ვუწოდებთ ჩვენ გამოსყიდვის გეგმას, ხსნის გეგმას. ყოვლისშემძლე ღმერთი კი მას ბოლომდე მიიყვანს. როგორ დასრულდება ხსნის ღვთიური გეგმა? ადამიანების ღმერთთან და ურთიერთშორის სრული თანაზიარებით ახალ შემოქმედებაში. და მაშინ ყველაფერი - შემოქმედება, ადამიანი, ურთიერთობა ადამიანებს შორის, მათი ურთიერთობა ღმერთთან - ზუსტად ისეთივე უნდა იყოს, როგორც ღმერთს სურს. ეს არის ხსნის გეგმის მიზანი. 2023 წელი კი ხსნის გეგმის უბრალოდ ერთი მონაკვეთია. რაც არ უნდა მოხდეს წელს - წარმოდგენა არა მაქვს, რა შეიძლება მოხდეს -, ერთი რამ ვიცი: 2023 წლის თვითეული დღე ხსნის ღვთიური გეგმის ნაწილია. სულერთია, რაც არ უნდა მოხდეს, ის მაინც იზრუნებს მისი გეგმის გაგრძელებაზე. და უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, ის ამას ჩვენთან ერთად გააკეთებს თუ ჩვენს გარეშე.

ღმერთს უნდა, რომ ადამიანებს ისევ მისცეს მასთან და ურთიერთშორის თანაზიარების შესაძლებლობა. ამ მიზნით მან უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. პირველი და მთავარი კონკრეტული ნაბიჯი ღვთის ძის განკაცება იყო. იესო ქრისტე პირველი ადამიანია, რომელიც ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ღმერთს სურდა. ის პირველი ადამიანია, რომელმაც, კაცად მყოფმა, აღდგომის სხეულით ღმერთთან სრულ თანაზიარებაში შესვლა შეძლო.

რას იზამენ ადამიანები, როცა ხსნის გეგმა დასრულდება, და როცა ისინი ახალ შემოქმედებაში იქნებიან? ისინი სამუდამოდ ღმერთის სამსახურში ჩადგებიან და მასთან ერთად მართავენ, ამბობს გამოცხადება. ახალ შემოქმედებაში ადამიანები ღმერთს მოემსახურებიან და მასთან ერთად მართავენ. როგორ მოემსახურებიან ისინი უფალს? ისინი მას სამუდამოდ აქებენ და ადიდებენ და თაყვანს სცემენ. მადლიერება და ქება-დიდება არასოდეს ამოიწურება, ვინაიდან ის, რასაც ღმერთი გასცემს, იმდენად დიდი იქნება, რომ მის სადიდებლად, მისთვის მადლობის შესაწირად და თაყვანსაცემად მიზეზი ყოველთვის იარსებებს.

და როგორი იქნება მათი მმართველობა ქრისტესთან ერთად? ამ მმართველობას არაფერი საერთო არა აქვს იმ მმართველობასთან, რომელიც ჩვენ ვიცით. ეს არ არის ძალაუფლების განხორციელება. ისინი მონაწილენი იქმნებიან ცოდვაზე ქრისტეს გამარჯვებისა. როცა საუკუნო სიცოცხლის გვირგვინზეა ლაპარაკი, აქ არ იგულისხმება მეფისა და დედოფლის გვირგვინი, არამედ ეს არის გვირგვინი იმისა, ვინც ბოროტსა და სიკვდილს სძლია. ისინი მასთან ერთად მართავენ, რადგან ისინი ცოდვას ქრისტეს შემწეობით სძლევენ, და მათ თავიანთი წვლილი ექნებათ ღვთის დიდებაში. ამდენად, საუკუნოდ უფლის სამსახურში იქნებიან. ასეთია ღვთის გეგმა და ეს არის მისი საქმის მიზანი.

ხსნის გეგმის შემდგომი დიდი ეტაპი პირველი აღდგომაა, ხოლო შემდეგ ათასწლიანი სასუფეველი, რომელსაც ტრადიციულად მშვიდობის სასუფეველს ვუწოდებთ. რა მოხდება მაშინ? უფალი მეორედ მოვა, რამეთუ თავისიანები თავისთან წაიყვანოს

და, როგორც პირმშონი, თანაზიარებაში შეიყვანოს - თუმცა ახალ შემოქმედებაში ჯერ არა, მაგრამ ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარებაში კი. ხოლო სასძლო თემი, როგორც პირმშო, - პირველი ადამიანი იესო ქრისტე იყო - ამ თანაზიარებაში შევა. ათასწლიან მშვიდობის სასუფეველში ისინი ქრისტეს მღვდლებად იმსახურებენ, როგორც მმართველები, მთელი ათასი წლის განმავლობაში. და როგორ მოესახურებიან ღმერთს მშვიდობის სასუფეველში? ისინი სამუდამოდ ღმერთის დიდებაში იქნებიან, თაყვანისცემასა და მის ქებაში. როცა ბიბლია ღვთისათვის მსახურებაზე ლაპარაკობს, ეს ყოვლისშემძლე ღმერთის თაყვანისცემას ნიშნავს. ბიბლიურ მსახურებას არაფერი საერთო არა აქვს იმ მსახურებასთან, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. მსახური თაყვანს სცემს ღმერთს, მასზეა მინდობილი, აქებს და ადიდებს მას. ისრაელის ხალხი ღვთის მსახური იყო, ვინაიდან ჭეშმარიტი ღმერთისათვის უნდა ეცათ მათ თაყვანი და ექოთ და ედიდებინათ იგი. მაშასადამე: მსახურება ათსწლიან მშვიდობის სასუფეველში, უპ. ყოვლისა, თაყვანისცემისა და ქება-დიდების მსახურებაა. ამის შემდეგ ღვთისა და ქრისტეს მღვდლები სახარების უწყებით იმსახურებენ ღვთისათვის, რამეთუ ყველა ადამიანს მიეცეს უფლება, ჰპოვოს გზა ღვთისკენ და ამ გზით წავიდეს.

აქ ისიც არის ნათქვამი, რომ ისინი მასთან ერთად შეუდგებიან მართვას. და როგორ უნდა მართონ? ნუ გეშინიათ, საქმე ქვეყნის ან მსოფლიო მმართველობას არ ეხება. იესომ გარკვევით თქვა: „ჩემი ხელმწიფება ამქვეყნიური არ არის. მასზე ადამიანები არიან პასუხისმგებელნი. როგორ გააკეთებენ ისინი ამას ამქვეყნად, როგორ ჩამოაყალიბებენ საზოგადოებას, ეს მათი საქმეა.“ იესო არ მოვა და არ იტყვის: „მე დავამყარებ წესრიგს.“ ეს კვლავაც ხალხის საქმე იქნება. ისინი იმიტომ არ იმმართველებენ, რომ სხვებზე უკეთესები არიან, გამარჯვებულის გვირგვინის მატარებლები იმიტომ არ იქნებიან, რომ იესო ქრისტეს შემწეობით ცოდვას სძლიეს. მათაც ისეთივე აღდგომის სხეული ექნებათ, როგორც იესო ქრისტეს, და წილი ექნებათ ღვთის დიდებაში. მათ იესო ქრისტეს ავტორიტეტიც ექნებათ, ვინაიდან ის მიავლენს მათ. როგორც იესო ქრისტეს მიერ მოვლენილებს, თავიანთი მისიის შესრულების ძალა და უფლებაც ექნებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერავინ შეაჩერებს მათ თავიანთი მისიის შესრულებაში.

ეს არის ხსნის ღვთიური გეგმა. მისთვის მომზადებას იგი 2023 წელსაც გააგრძელებს. ვისაც ეს სურს, შეუძლია მიიღოს. მაგრამ ამისთვის მომზადება ჩვენზეა დამოკიდებული. ამიტომაც 2023 წლის ჩვენი დევიზია: მოდით, ქრისტესთან ერთად ვიმსახუროთ და ვმართოთ. დღესვე უნდა ვისწავლოთ ეს. დაე, ჩვენი პროგრამა იყოს ის, რომ ყოველდღიურად მოტივირებულნი და ფოკუსირებულნი ვიყოთ ამ დევიზზე: მსურს ქრისტესთან ერთად ვიმსახურო და ვმართო.



ღვთისმსახურება ღვთისათვის მსახურების შესაძლებლობაა.

პირველი მსახურება ღვთისმსახურებაა. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ღვთისადმი მსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ თაყვანს სცემდნენ ღმერთს, აქებდნენ და ადიდებდნენ მას. ახალ შემოქმედებაში მსახურება წმინდა თაყვანისცემა და ქება-დიდება იქნება. პირველი მსახურება, რაც მორწმუნემ ღვთისადმი უნდა გასწიოს, ღვთისმსახურებაა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან უნდა დატოვოს თავისი ყოველდღიური ყოფა, კომფორტი, ყველაფერი განზე გასწიოს და ღმერთთან მის თაყვანსაცემად მივიდეს. ღვთისმსახურების აზრი ეს არის. ადამიანი თაყვანს სცემს ღმერთს, აქებს და ადიდებს, როგორც ეს მას ეგების. ჩვენი მოწოდებაა, საუკუნოდ ვემსახუროთ ღმერთს, საუკუნოდ ვცეთ თაყვანი და საუკუნოდ ვაქოთ და ვადიდოთ იგი. ღვთისმსახურება ამის სწავლის შესაძლებლობას გვაძლევს. როცა ღვთისმსახურებაზე მივდივართ, თაყვანს ვცემთ ღმერთს, ვადიდებთ დ ხოტბას ვასხამთ მას. როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ამით ჩვენს მადლიერებას გამოვხატავთ იესო ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის გამო.

ღმერთს იმით ვემსახურებით, რომ ძველი აღთქმის იუდეველების მსგავსად მსხვერპლს ვიღებთ. საქმე ეხება სულიერ მსხვერპლს. როცა ღვთისმსახურებაზე მივდივართ, მივუტევებთ მოყვასს და, ამდენად, უარს ვამბობთ შურისგებაზე, სამაგიეროს გადახდაზე და ბრალდებაზე. ეს ის მსხვერპლია, რომელიც ესათნოება ღმერთს. რატომ ვაკეთებთ ამას? იმიტომ, რომ ღმერთთან თანაზიარება გვსურს, ზემოთ ნახსენები კი შეუსაბამოა ამასთან. ღმერთი ის არ არის, ვინც ადამიანებს ადანაშაულებს. ეს არ შეესაბამება იმ ღმერთს, რომელიც იესო ქრისტემ გაგვიცხადა.

ღვთისმსახურებაზე ღვთის ნების მოსასმენად მოვდივართ. ახალ შემოქმედებაში შესასვლელად სრულიად უნდა შევესატყვისებოდეთ ღვთის ნებას. უნდა დავთმოთ ყველაფრი, რაც ღვთის ნებას არ შეესაბამება. და როცა ღვთისმსახურებაზე მოვდივართ, ვისმენთ ღვთის ნებას და ვამჩნევთ: „ჰო, ეს არ შეესაბამება ღვთის ნებას, ღმერთი არ ეთანხმება ამას, უნდა დავთმო ეს აზრი, უნდა დავთმო ხასიათის ეს თვისება.“ აი, ასე ვემსახურებით ღმერთს ღვთისმსახურებაზე.

უფალს მოყვასის სიყვარულითაც ვემსახურებით. იესო ქრისტემ თქვა: „ვინც მე მემსახურება, სიკეთე უნდა გაუკეთოს მოყვასს.“ მან თავად აჩვენა, თუ როგორია ეს მსახურება, როცა მოწაფეებს

ფეხები დაბანა. ის იმისთვის არ მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად იმსახუროს. ღვთისათვის მსახურება მოყვასისათვის მსახურებასაც ნიშნავს. მოდით, ჩვენც ასე მოვიქცეთ. ამ ბოლო დროს გაღიზიანებულმა შევამჩნიე, რომ და-ძმანი ასეთ რამეს ამბობენ: ღვთისმსახურებას იმიტომ ვტოვებთ, რომ რაღაცის მიღება გვსურსო. შეიძლება ეს გასაგები იყოს, მაგრამ განა ეგოისტური არ არის? ე. ი., ღვთისმსახურებაზე მხოლოდ მაშინ მოვდივარ, როცა რამე მჭირდება, ან რამის მიღება შემიძლია. და რა მოუვიდა ამ დროს მსახურებას? ის სრულიად გაქრა. მაგრამ ღვთისმსახურებაზე იმისთვისაც მოვდივარ, რომ ჩემს ძმასთან ერთად ვილოცო. ღვთისმსახურებაზე იმისთვის მოვდივარ, რომ ჩემს ერთმორწმუნე დას ვაჩვენო: „მე შენს მხარეს ვარ, მაშ, მოდი, ერთად ვილოცოთ.“ ღვთისმსახურებაზე მოვდივარ და მის ორგანიზებაშიც ვიღებ მონაწილეობას, რათა ჩემმა ძმამ, ჩემმა დამ, მისი განცდა შეძლოს, მარტონი ამას ვერ შევძლებთ. ღვთისმსახურების განსაცდელად თემია საჭირო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქ ჩემთვის განსაკუთრებული არაფერი მოხდება, ჩემს წვლილს ხომ მაინც შევიტან იმაში, რომ ჩემმა მეზობელმა ღვთისმსახურების განცდა შეძლოს. ესეც ღვთისადმი მსახურებაში შედის. მოყვასს იმით ვემსახურები, რომ სახარებას სიტყვითა და საქმით ვიუწყები. ღვთისათვის მსახურება ის არის, როცა ვეხმარებით მოყვასს, ვანუგეშებთ მას, ვაძლიერებთ და ერთად ვშრომობთ. აი, ასე ვემსახურებით ღმერთს. ჩვენ ქრისტესთან ერთად ვმსახურობთ, ვინაიდან ზუსტად ვიცით, რომ, რაც არ უნდა გავაკეთოთ, უდიდესი წილს მაინც იესო ქრისტე აკეთებს.

ცოდვაა ჩასაფრებული შენს წინ, მაგრამ შენ გაბატონდი მასზე. ეს არის მართვა! ჩვენ უნდა გავბატონდეთ ცოდვაზე. ბუნებრივია, რომ ცდუნების გავლენას განვიცდით. თუმცა კატეხიზმოში წერია: ადამიანი მისი ნების გარეშე არ ექვემდებარება ცდუნებას. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სხვანაირად არ შეგვიძლია. ხალხის ნაკადი გვითრევს. არა, არავინ გვაიძულებს იმის გაკეთებას, რასაც გვთავაზობენ, იმის გაკეთებას, რასაც სხვები აკეთებენ. შეგვიძლია, უარი ვთქვათ. შენს კართან ცოდვაა ჩასაფრებული, მაგრამ შენ გაბატონდი მასზე. ქრისტეს დახმარებით შეძლებ „არა“ უთხრა ცოდვას. შეგიძლია თქვა: „არა, ამას არ გავაკეთებ, სულერთია რა შედეგებო მოჰყვება ამას ჩემთვის, ეს ცოდვაა და ღვთის ნებას ეწინააღმდეგება.“ მოდით, ჩვენი ცხოვრება თავად ვმართოთ, ვაკონტროლოთ იგი და საკუთარი თავიც. დღეს ბევრია ისეთი, ვინც ამბობს, რომ ადამიანები ამჟამად მხოლოდ მარიონეტები არიან, ვიღაც სწევს ძაფებს და, რასაც უნდა იმას აკეთებინებს მათ. მაგრამ ეს ჩემთან არ

განსვენებულთათვის ჩატარებული ზიარება მეტად ამაღელვებელი იყო.

გაუვათ. ეშმაკი ვერ მაიძულებს იმის გაკეთებას, რაც მას სურს. ქრისტეს დახმარებით ჩემს ცხოვრებასა და ბუნებას თვითონ გავაკონტროლებ.

საყვარელო და-ძმანო, ჩვენი მიზანი ღმერთთან სრული თანაზიარებაა. ამ მიზანს მაშინ მივაღწევთ, თუ ამის სურვილი გვექნება. მაშ, ვაკონტროლოთ საკუთარი ცხოვრება და თავად ვმართოთ და თავად განვსაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი მომავალი. ჩვენი მომავალი ბნელი ჩიხი არ არის, ის დიდებულია - ეს არის ღმერთთან თანაზიარება და ხსნის გეგმის დასასრული. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ხდება მსოფლიოში; არა აქვს მნიშვნელობა იმას, რა აზრზეა უმრავლესობა; არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ იქცევიან ჩემი თანამოძმენი. ამან არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს ღმერთთან ჩემს ურთიერთობაზე. პირველმოციქული ლებერი ხშირად ამბობდა: „მოდით, დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ.“ სულერთია, როგორ ვარ, ავად ვარ თუ კარგად. დაუშვებელია, რომ ღმერთთან ჩემი ურთიერთობა ჩემმა ავადმყოფობამ განსაზღვროს. სულერთია, მაქვს თუ არა ფული. ჩემს ურთიერთობას ღმერთთან ჩემი საბანკო ანგარიში არ განსაზღვრავს. ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: ღმერთთან თანაზიარება მსურს. ვისურვებდი, რომ ყველა ღვთის შვილმა ასე შეხედოს ამას: თანაზიარება იესო ქრისტესთან ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვერავინ შეედრება ამას. მაშ, მოდით, თავად ვმართოთ. ეს ალბათ შეუძლებელი ჩანს.

დიახ, ქრისტესთან ერთად მართვა აბსოლუტურად შესაძლებელია! ამის ძალას იესო ქრისტე გვაძლევს. ის ისევ და ისევ გვიმტკიცებს თავის სიყვარულს, რომელიც მასთან თანაზიარების მოტივაციას გვაძლევს. მისი სიყვარული დიდია. ის გამუდმებით გვანიჭებს წყალობას. და თუ არ გამოგვდის ეს, თავიდან დაწყების შესაძლებლობას გვაძლევს. სულიწმიდის მეშვეობით სიბრძნეს გვანიჭებს, რამეთუ სულთა გარჩევა შევძლოთ. ქრისტეს დახმარებით უკვე დღეს შეგვიძლია მართვა - მოდით, გულში ჩავინერგოთ ეს. შეგვიძლია გავბატონდეთ ცოდვაზე და ჩვენი ცხოვრება, პიროვნება და ჩვენი მომავალი ვაკონტროლოთ. მოდით, ქრისტესთან ერთად ვემსახუროთ ღმერთს და დღესვე ვმართოთ ჩვენი ცხოვრება ქრისტესთან ერთად. მერე კი, როცა უფალი მეორედ მოვა, თავის სასუფეველში შეგვიყვანს. ამის შემდეგ მასთან ერთად მსახურების შესაძლებლობა მოგვეცემა: ღმერთის დიდებას, თაყვანისცემას, ხოტბას და მასთან ერთად მართვას შევძლებთ, ვინაიდან ვიტყვით: „იესო ქრისტეს შემწეობის წყალობით და მისი მსხვერპლის წყალობით ცოდვაზე გავიმარჯვეთ, ცოდვაზე გავბატონდით.“

ძირითადი აზრები

- ღმერთმა ქრისტესათვის მსახურებისა დ ამასთან ერთად მართვისათვის აგვირჩია.
- ჩვენი მსახურება ახალ შემოქმედებაში ღმერთის თაყვანისცემა იქნება.
- მშვიდობის სასუფეველში ქრისტესთვის ვიმსახურებთ და მასთან ერთად ვმართავთ.
- ქრისტეს დღეს ღვთისმსახურებაზე დასწრებით და ღვთის ნების შესრულებით ვემსახურებით.
- ქრისტე ჩვენს ცხოვრებაზე კონტროლის შენარჩუნებაში გვეხმარება.

იესო კურნავს ათ კეთროვანს

ლუკა 17, 11-19-ის მიხედვით

იესომ ბევრი ადამიანი განკურნა. ის, რომ ისინი გამოჯანმრთელდნენ, მისი ძლევამოსილების ნიშანია. ადამიანებს ღვთის სასუფეველის დადგომა გადაარჩენს.

როცა იესო იერუსალიმში მიდიოდა, გზად სამარიასა და გალილეაში გაიარა. ერთ სოფელში მას ათი სნეული კაცი შეხვდა.
მათ კეთრი სჭირდათ
და ამიტომ მოშორებით გაჩერდნენ.
კაცებმა დაუძახეს: იესო, მოძღვარო, შეგვიბრალე!“



იესომ უთხრა მათ: „წადით და ეჩვენეთ მღვდლებს!“ ასეც მოიქცნენ და განიწმინდნენ. როცა შეამჩნია ერთ-ერთმა მათგანმა, რომ გამოჯანმრთელდა, უკან დაბრუნდა. მაღალი ხმით ადიდებდა ღმერთს, დაემხო იესოს წინაშე და მადლი შესწირა მას. ის სამარიელი იყო, უცხოტომელი.

იესომ ჰკითხა: „განა ათი არ განიკურნა?“ სად არის დანარჩენი ცხრა? რატომ ისინიც არ დაბრუნდნენ, რომ პატივი მიეგოთ ღვთისათვის? ნუთუ ეს უცხოტომელი ერთადერთია, რომელიც მადლს სწირავს ღმერთს?“ იესომ ამ სამარიელს უთხრა: „ადექი და წადი სახლში. შენმა რწმენამ გადაგარჩინა შენ.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 10, 2022 წ; ილუსტრაციები: მარელა ფოტუნატი

სტუმრად ბრენოსთან ვარჟენ-გრანდი პაულისტაში

„ოლა“, მე ვარ ბრენო. „ოლა“ პორტუგალიურად გამარჯობას ნიშნავს. ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, სადაც პორტუგალიურად ლაპარაკობენ. 300 წელზე მეტი იგი პორტუგალიის კოლონია იყო.

რვა წლის წინ სან-პაულუში მოვევლინე ქვეყანას. ეს ქალაქი პორტუგალიელმა ქრისტიანმა მისიონერებმა დაარსეს 1554 წელს; სახელი პავლე მოციქულის საპატივსაცემოდ უწოდეს. დღეს აქ თერთმეტ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, სან-პაულუ ბრაზილიის უდიდესი ქალაქია.

ძალიან პატარა ვიყავი, როცა ოჯახს თან დავყავდი ღვთისმსახურებებზე სან-ბერნარდო დო კამპოს თემში. რამოდენიმე წლის შემდეგ სანტო ანდრეში გადავედით საცხოვრებლად და იქაურ თემში დავიწყეთ სიარული.

ამასობაში ისევ გადავედით და ახლა ვარჟენ-გრანდი პაულისტაში ვცხოვრობთ. ისიც სან-პაულუს მახლობლად მდებარეობს. იქ ჯერ კიდევ არ არის ახალსამოციქულო ეკლესია. ამიტომაც ორ კვირაში ერთხელ სანტო ანდრეში მივდივართ და იქ ვესწრებით ღვთისმსახურებას. როცა იქ წასვლას ვერ ვახერხებთ, ღვთისმსახურებას ტელევიზორში ვუყურებთ. ოთხშაბათობითაც ონლაინ ვერთვებით. კორონა-პანდემიის დროს ძალიან დაგვეხმარა ტრანსლიაციები.

ჩემი და ჟულია ექვსი წლის არის. ჩემსავით ისიც საკვირაო სკოლაში დადის. გაკვეთილები მრავალფეროვანია და თამაშების მეშვეობით ვსწავლობთ, რაც ძალიან მოგვწონს. ჩვენი საკვირაო სკოლის მსწავლებელს სელმა ჰქვია. ის სასიამოვნო ქალია და ძალიან გვიყვარს. თემის სხვა წევრებიც გვიყვარს.

გადასვლამდე ვნერვიულობდი, თუ როგორ იქნებოდა ახალ სკოლაში. მაგრამ კარგად მიმიღეს და მალე შევიძინე ახალი მეგობრები. ჩემს საუკეთესო მეგობარს ჟოაო ჰქვია. ახლა მესამე კლასში ვარ. აქ მე საშინაო დავალებებს ვაკეთებ.

სკოლაში ვსწავლობ ჭადრაკს, მუსიკასაც, ამჟამად ფლეიტაზე დაკვრას ვსწავლობ. სახლში დედაჩემის ძველ იონიკაზე ვუკრავ ცოტას. მარტივი სიმღერები კარგად გამომდის.

სპორტულ სკოლაში ფეხბურთს ვთამაშობ. მიყვარს ვარჯიშზე სიარული. ფეხბურთი ბრაზილიაში ყველაზე პოპულარული სპორტია, ხოლო ჩვენი ეროვნული ნაკრები ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. მან უკვე ხუთჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. მომავალში პროფესიონალი ფეხბურთელი მინდა გავხდე.

მყავს პატარა ძაღლი, თინინია, მე მას კარგად ვუვლი. ისე სახლშიც ვეხმარები: ვასწორებ ჩემს ლოგინს, ვშლი სუფრას და ვალაგებ ჭურჭელს, ვწურავ ფორთოხლის წვენს და ბლინებსაც კი ვაცხობ. მშობლებთან ერთად ხანდახან ფილმებსაც ვუყურებთ და თან პოპკორნს მივირთმევთ. ჰმ, გემრიელია!

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 10, 2022 წ; ფოტოები: კერძო; stock.adobe.com – Flavio França, ASTA Concept, Snejana Sityaeva

ქალების ორდინაცია: ძველი და ახალი აღთქმა

ბიბლიური მოვლენების გაანალიზება გვიჩვენებს, რომ კაცი და ქალი ღვთის ხატისამებრ შეიქმნენ. „ქალების ორდინაციის“ თემასთან დაკავშირებულ მოძღვრებითი წერილის მეორე ნაწილში განხილულია ორი თემა: რა თეოლოგიურ დასკვნებს აკეთებს აქედან ეკლესია და როგორ ცხოვრობდნენ ადრეული ქრისტიანობის ეპოქაში.

ბიბლიურ მოწმობებზე დაყრდნობით (იხილე კომუნიტი 1/2023წ.) კაცი და ქალი, ქალი და კაცი ერთნაირად წარმოადგენენ ღვთის ხატს. როცა კატეხიზმოში იმაზეა ლაპარაკი, რომ კაცი და ქალი „განსხვავებულნი“ არიან, იგულისხმება მათი განსხვავებული ბიოლოგიური აგებულება, განსხვავებული სქესი და არა პიროვნული უთანასწორობა.

„ადამიანად ყოფნა ნიშნავს ერთი კონკრეტული სქესის სუბიექტად, ასევე სულიერი უნარებითა და ნიჭებით აღჭურვილ ინდივიდად ყოფნას, თავისუფლებისა და ენის ფლობას, მოქმედების უნარს, საკუთარი ისტორიის ქონას, ურთიერთობებში ცხოვრებასა და სიყვარულის უნარს.“ ე. ი., კაცი და ქალი ერთი და იგივე ღირსების მქონე პარტნიორები არიან, თუმცა ბიოლოგიურად განსხვავებულნი.

ღმერთი აცხადებს, რომ ადამიანი „ღვთის ხატია“

როცა ადამიანზე როგორც „ღვთის ხატზე“ ისე ვლაპარაკობთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული უსასრულო თვისობრივი სხვაობა ერთ დონეზე დავიყვანოთ. კატეხიზმოში ერთმნიშვნელოვნად არის საუბარი იმაზე, რომ ღვთის არსის ახსნა ადამიანიდან გამომდინარე შეუძლებელია: „ის, რომ ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღვთის არსზე ადამიანის პიროვნებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ - გამონაკლისი ამ შემთხვევაში მხოლოდ იესო ქრისტეა (კატ. 3. 3. 2).“

ლაპარაკი ადამიანზე, როგორც „ღვთის ხატზე“, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მხედველობაში ღმერთი გვყავს. ადამიანის როგორც „ღვთის ხატის“ შეცნობა და გაგება მხოლოდ ღმერთთან მიმართებაშია შესაძლებელი, რომელიც ცხადდება და ლაპარაკობს. ღმერთის თვითგამოცხადება ადამიანის, მისი როგორც ქმნილების, მისი არსისა და ამქვეყნიურ სამყაროში მისი მისიის სათანადო გაგების წინაპირობას წარმოადგენს.

ქალსა და კაცს ერთი და იგივე დავალება აქვთ

კატეხიზმოში ხაზგასმით არის მითითებული იმაზე, რომ კაცმა და ქალმა ერთი და იგივე დავალება მიიღეს, „იბატონონ’ დედამიწაზე, კერძოდ გაანაშენიანონ და შეინარჩუნონ იგი“ (კატ. 3. 3. 2). კაცისა და ქალის „ბატონობა“ სუბსტანციურად არანაირად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მაშასადამე, თვითეულს მხოლოდ მისი კუთვნილი „ბატონობის სფერო“ არ გააჩნია, როგორც ამას გენდერული როლების ტრადიციული გაგება ცხადყოფს. საქმე იმგვარად არ არის, რომ კაცის საქმიანობისა და მოქმედების სფერო ფართო იყოს, ხოლო ქალის - ვიწრო: სახლი, სამსახური, ოჯახი.

როგორც ღვთის ხატს, ორივეს ქესის წარმომადგენელს პოტენციურად მთელი ამქვეყნიური შემოქმედება აქვს მინდობილი, თუნდაც ამის რეალიზება კულტურული და რელიგიური ტრადიციების გამო ვერ ხდებოდეს. მხოლოდ ორივეს ერთად ძალუძს მისი ფორმირება და შენარჩუნება. ამიტომაც შეუძლებელია, რომ თვითეულმა ცალ-ცალკე შეასრულოს ღმერთის დავალება: „იბატონოს“, რამეთუ ეს მხოლოდ ერთად და სოლიდარულად არის შესაძლებელი.

შენარჩუნება და ფორმირება თავის პირველ კონკრეტულ გამოხატულებას ორი სქესის ერთად ცხოვრებაში ან ბავშვთა აღზრდაში პოულობს.

ცოლ-ქმრულ და ოჯახურ ცხოვრებას კაცი და ქალი ერთნაირად აყალიბებს და ახორციელებს. გარდა ამისა, ამქვეყნიური შემოქმედების შენარჩუნებისა და ფორმირების დავალებაში ისიც შედის, რომ კაცი და ქალი ერთად იღებენ პასუხისმგებლობას.

საზოგადოებრივი რეალობის აღქმის, მასში საქმიანობისა და თანამშრომლობის უარყოფა ეწინააღმდეგება შემოქმედებასთან დაკავშირებულ დავალებას, ასევე მოყვასის სიყვარულის მცნებას, რომელიც ყველა ადამიანს მიეცა. და ბოლოს, კაცი და ქალი ერთნაირად არიან მოწოდებულნი, გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა, რომელიც შემოქმედების შენარჩუნებას ეხება, სადაც ცხოველები და მცენარეებიც შედის, და სათანადოდ მოიქცნენ.

დასკვნა: ახალსამოციქულო ეკლესია ასწავლის, რომ კაცი და ქალი „ღვთის ხატად“ შეიქმნენ და ერთი და იგივე არსისა და ერთი და იგივე ღირსების მატარებელები არიან. „ბატონობისკენ“ ორივე ერთად არის მოწოდებული: მათ უნდა შეინარჩუნონ შემოქმედება და მისი ფორმირება მოახდინონ. მაშასადამე, ღვთისხატობა შემოქმედების წესრიგის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რამეთუ ადამიანის უცილობელი ორიენტირება ღმერთზე მისით ხდება. ამქვეყნიური შემოქმედების „დაცვისა“ და „დამუშავების“ დავალებაში ისიც შედის, რომ ქალი და კაცი თანაბრად კისრულობს პასუხისმგებლობას.

ქალები ახალ აღთქმაში

ადამიანის ღვთისხატობა კაცისა და ქალის არსობრივ იდენტურობას ეფუძნება. ეს დასკვნა იმის საფუძველია, რომ ორივეს ერთნაირად შეიძლება მიენდოს სასულიერო თანამდებობა და მსახურება ადგილობრივ თემსა და ეკლესიაში. თუ ამასთან დაკავშირებულ ახალი აღთქმის მოწმობებს გადავხედავთ, გამოკვეთილ სურათს ვერ დავინახავთ. ქალის როლი პირველი საუკუნის ეკლესიაში, ე. ი. ახალი აღთქმის ეპოქაში, სულ სხვაა.

ქალები სახარებებში

სინოპტიკური სახარებები (მარკოზის, მათესი და ლუკასი), ისევე როგორც იოანეს სახარება, მოგვითხრობს, რომ იესო ელაპარაკებოდა ქალებს, ასწავლიდა მათ (ლუკ. 10, 38-42), კურნავდა და გასაჭირში თანაუგრძნობდა. იესოს უშუალო გარემოცვაში, როგორც ლუკ. 8, 1-3 გადმოგვცემს, არა მარტო კაცები გვხვდებიან, არამედ „ზოგი“ ქალიც. იესომ რამოდენიმე მათგანი განკურნა და „ბევრი სხვა“, ანუ ისეთები, რომლებიც მისმა ქადაგებამ ღვთის სასუფევლის მოახლოებაში დაარწმუნა; ეს ქალები მოწაფეთა თემს შეუერთდნენ და „თავიანთი ქონებით“ ეხმარებოდნენ მას.

იოან. 4, 5-42 გადმოგვცემს, რომ ერთმა სამარიელმა ქალმა, რომელთანაც იესომ საუბარი გააბა, არა მარტო იესოს წინაშე აღიარა რწმენა მის მიმართ, როგორც მესიის მიმართ, არამედ ქალაქ სამარიის მაცხოვრებლების წინაშეც. ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ბევრმა სამარიელმა ამ ქალის უწყების საფუძველზე იწამა იესო (იოან. 4, 39).

მოწაფეთა-თემის წევრი ზოგი ქალი იესოს ჯვარცმასაც ესწრებოდა (მათ. 27, 55. 56; მარკ. 15, 40; ლუკ. 23, 49). იოანეს სახარების მიხედვით ეს ქალები შორიდან კი არ აკვირდებოდნენ ჯვარცმასა და სიკვდილს, არამედ უშუალოდ ჯვარცმულის სიახლოვეს იმყოფებოდნენ (იოან. 19, 25-27).

იესოს აღდგომის მოწმენიც ქალები იყვნენ და მოწაფეებს შეატყობინეს ამის შესახებ. მკვდრეთით აღდგომის შესახებ ცნობებში ქალებს მნიშვნელოვანი დავალება აქვთ, კერძოდ, იესოს აღდგომის თავდაპირველი ქრისტიანული „გამოცხადების“ (კერიგმა) გავრცელება. იესოს აღდგომის შესახებ გზავნილი არსებითი წინაპირობაა იმისათვის, რომ ეკლესია სახარების უწყებით გამოვლინდეს.

მოწმობა პავლეს ეპისტოლეებიდან

ყურადღებას იპყრობს ის, რომ რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ბოლოს (რომ. 16) კაცებს და ქალებს თანაბრად ასახელებენ და ესალმებიან. პირველდ დასახელებულია ერთმორწმუნე და ფებე, „რომელიც არის კენქრელთა ეკლესიის მსახური“ (რომ. 16, 1). ფებე თემის სამსახურში იდგა და, გარდა ამისა, მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა, იგი მოციქულსა და ეკლესიას ეხმარებოდა.

რომ. 16,3-ში პავლე რომის თემს ორი თანამშრომლისათვის, პრისკასა და აკვილასათვის, ალბათ ცოლ-ქმრისათვის, მოკითხვის გადაცემას ითხოვს. პავლე ორივეს აქებს იმის გამო, რომ ისინი „თავს სწირავდნენ ჩემი სიცოცხლისათვის“ (რომ. 16, 4). ისინი „საშინაო ეკლესიას“ ხელმძღვანელობდნენ (რომ. 16, 5). ორივე 1. კორ. 16, 19-შიც არის ნახსენები; ამჯერად პავლე მათ და მათ „საშინაო ეკლესიას“ უთვლის მოკითხვას.

რომ. 16, 7-ში პავლე მოკითხვას უთვლის ასევე კაცსა და ქალს - სავარაუდოდ ცოლ-ქმარზეა ლაპარაკი -: „მოიკითხეთ ანდრონიკე და იუნია, ჩემი ნათესავები და ჩემი თანატყვეები, რომელნიც განთქმული არიან მოციქულთა შორის და ჩემზე უწინაც ირწმუნეს ქრიტე.“ ამ ბოლო დროს ეს ადგილი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, უპ. ყოვლისა, იმიტომ, რომ ბიბლიის ზოგიერთი განმმარტებლის აზრით, იუნიას შემთხვევაში ლაპარაკია ქალზე, რომელიც მოციქულად იწოდება.

ჩამოთვლილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანულ თემებში ქალები, რომლებთანაც პავლეს კონტაქტი ჰქონდა, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ: ისინი თემებს ხელმძღვანელობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ წარმართთა შორის სახარების უწყების საქმეში.

წინასწარმეტყველება

კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში მოცემულია დებულებები ღვთისმსახურებაზე მამაკაცებისა და ქალების მხრიდან სწორი ქცევის შესახებ, რის თანახმადაც კაციც და ქალიც აქტიურია ღვთისმსახურებაზე: ისინი ლოცულობენ და წინასწარმეტყველებენ. პავლეს არგუმენტაციაში წმინდა ექსტაზური, თავისთავად გაუგებარი ენების საპირისპიროდ, რომელსაც თარგმანი სჭირდება, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წინასწარმეტყველებას: „ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნევებლად. (...) ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს“ (1. კორ. 14, 3. 4). „წინასწარმეტყველებას“ ქადაგების მსგავსი ამოცანა აქვს, კერძოდ, გასაგებად გადმოსცეს სახარება.

1. კორ-ის შესახებ თავის კომენტარში ვოლფგანგ შრაგე აღნიშნავს: „ვინაიდან 12, 1-ის მიხედვით ეკლესიაში უპირველესად სულიწმიდის მოქმედებაზეა ლაპარაკი, რომელიც მადლს განურჩევლად ყველა ქრისტიანს ანიჭებს (...), საქმე არ ეხება დელეგირებულ ან უარყოფილ მღვდელმსახურებს ანდა სულაც გენდერულ დაყოფას, [რამდენადაც] განსხვავება კაცისა და ქალის სპეციფიკურ ფუნქციებს შორის არ ჩანს. მანამდე არსად არ გვხვდება თუნდაც ერთი მინიშნებაც კი იმაზე, რომ გარკვეული ნიჭები და კრიტერიუმები მხოლოდ კაცების ხვედრია.“

ქალთა საქმიანობის უგულვებელყოფა

პასტორალური წერილების მიზანი, რომლებიც პირველი საუკუნის ბოლოს დაიწერა, პავლეს მემკვიდრეობის დაცვასა და აქტუალიზირებას (გათანამედროვეობას) წარმოადგენს. ამგვარი აქტუალიზირება ხშირად ქალების მნიშვნელოვან დაკნინებას იწვევდა. მათ მნიშვნელოვანწილად რიყავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიობებისგან.

თემის ორგანიზება უკვე ორიენტირებული იყო რომაულ ოჯახზე, რომლის სათავეშიც ოჯახის მამა იდგა, ქალებს კი ამ დროს მეორე რიგში უნდა გადაენაცვლათ. ამასთანავე ასე მათ ცრუ მოძღვრებებთან ბრძოლაც უნდოდათ, ვინაიდან ვარაუდობდნენ, რომ ქალები, რომლებიც „საშინაო ეკლესიებს“ ხელმძღვანელობდნენ, უფრო მგრძნობიარენი და მიმღებნი იყვნენ ცრუმოძღვრებების მიმართ.

მდუმარების მცნება ქალებისათვის

უცნაურია, მაგრამ ეკლესიაში ქალების საქმიანობასთან დაკავშირებული კრიტიკის ადრეული მოწმობა 1. კორ. 14, 33-36-ში გვხვდება. ეს მონაკვეთი, სადაც არის მოთხოვნა, რომ ქალები ეკლესიაში დუმდნენ - ე. ი., არ უნდა მიიღონ თემის ცხოვრების ფორმირებაში მონაწილეობა -, აშკარად ეწინააღმდეგება 1. კორ. 11, 5-ში მოცემულ განცხადებებს. ახალი აღთქმის სპეციალისტთა უმრავლესობა იმაზე თანხმდება, რომ ეს მონაკვეთი მოგვიანებით არის ჩამატებული. ის იმ პოზიციას ჰგავს, რომელსაც ადგილი აქვს 1. ტიმ. 2, 11-15-ში, ერთ-ერთ დოკუმენტში პავლეს გვიანდელი სკოლიდან. მდუმარების მცნება ქალებისათვის, ერთი მხრივ, 1. ტიმ. 2, 11-15-ს ჰგავს, ნაწილობრივ კი 1. კორ. 11, 7-12-ის მოტივებს იმეორებს.

1. ტიმ. 2, 11-15-ის ტექსტი მთლიანობაში იმით გამოირჩევა, რომ ქალების მიმართ საკმაოდ მკაცრი ტონი ჟღერს: „ქალი უნდა სწავლობდეს მდუმარედ, სრული მორჩილებით. მე არა ვრთავ ქალს სწავლების ნებას, და არც ქმარზე მბრძანებლობისას, არამედ რათა იყოს მდუმარედ. ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა. ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და სცოდა. თუმცაღა მაინც ცხონდება, რადგანაც შვილებს გააჩენს, თუკი რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში დარჩება კდემით“.

ხდება რა ევაზე მითითება, რომელიც პირველ ცოდვილ ადამიანად ითვლება, ქალი ეკლესიის ცხოვრების ყველა ღონისძიებიდან ირიყება. ეკლესიის კონტექსტში მას რწმენასთან დაკავშირებული კითხვების დასმა ეკრძალება. ქალებისათვის რწმენის სწავლება ეკლესიის მიღმა უნდა ხდებოდეს. და კიდევ, უშვილო ქალი დისკრიმინირებული იყო. გარდა ამისა, ქალს იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ რომელიმე ბავშვს

ქრისტიანული რწმენიდან არ გადაეხვია. და თუ ეს მაინც მოხდებოდა, მაშინ მისი ხსნა ეჭვქვეშ დადგებოდა. უარყოფილია ასევე ქალების მხრიდან სახარების საჯაროდ უწყება. მასწავლებელი კაცია, ქალი კი ის არის, ვისაც მოძღვრავენ და ვინც სწავლობს.

თუმცა 1. ტიმ. 2, 11-15-ისა და 1. კორ. 11, 2-16-ის ზუსტი შედარებით (ქალები და მამაკაცები ღვთისმსახურებაზე) ორ მნიშვნელოვან განსხვავებაზე ხდება ყურადღების გამახვილება: 1. კორ. 11-ში პავლე მოციქული, ჯერ ერთი, არ ახდენს ევას ცდუნების ისტორიით არგუმენტირებას, მეორე მხრივ კი, არ აიძულებს ქალებს მდუმარედ იყვნენ ეკლესიაში (როგორც ამას 1. ტიმ. 2, 12--ის მიხედვით პავლეს გვიანდელ სკოლაში მოითხოვდნენ).

ევამ შემოიტანა ცოდვა ამქვეყნად?

ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლეს ავტორი თავის პოზიციას პავლეს სამოციქულო ავტორიტეტით აფიქსირებს: „მე არა ვრთავ ქალს სწავლების ნებას, და არც ქმარზე მბრძანებლობისას, არამედ რათა იყოს მდუმარედ. ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა.“ შესაქმის მეორე ცნობაზე მითითება (დაბ. 2, 4-25), ე .ი. ადამსა და ევაზე, აძლიერებს ქალის მორჩილებას მამაკაცისადმი, როგორც შემოქმედების უცვლელი წესრიგის გამოხატულებას.

იმ დროს, როდესაც პავლე 1. კორ. 11, 8. 9-ში შესაქმის შესახებ მეორე ცნობაზე მხოლოდ მიანიშნებს, აქ უკვე პირდაპირ ასახელებს მას „ადამისა“ და „ევას“ მოხსენიებით. თავიდან მორჩილებითი ურთიერთობის დასაბუთება იმით ხდება, რომ ჯერ კაცი შეიქმნა და მერე ქალი. მომდევნო არგუმენტი გვიჩვენებს, რომ ამ ეპისტოლეს ავტორი შორს დგას პავლეს აზროვნებისგან, რაც ნათლად არის გამოკვეთილი, მაგ., რომაელთა მიმართ ეპისტოლეში - ადამი-ქრისტეს ტიპოლოგიაში: „ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და სცოდა“ (1. ტიმ. 2, 14). ავტორი ცოდვით დაცემის ინტერპრეტაციის გვიანდელ იუდაურ ტრადიციას აგრძელებს, რომელშიც ღვთიური მცნების დარღვევის მთელი დანაშაული ქალს ეკისრება.

სრულიად საწინააღმდეგოა პავლეს პოზიცია: „ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, ცოდვის მიერ კი - სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში, რადგანაც ყველამ სცოდა“ (რომ. 5, 12). პავლესათვის ადამი ცოდვასა და სიკვდილში გახლართულ ადამიანს წარმოადგენს საერთოდ, ამასთანავე, სქესს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

დასკვნა: ახალი აღთქმის მოწმობა ერთმნიშვნელოვანი არ არის. არის გამონათქვამები, რომლებიც მისიონერულ საქმიანობაში, თემის ცხოვრებასა და ღვთისმსახურების პრიცესში ქალის ინტენსიურ მონაწილეობაზე მიუთითებს. და პირიქით, არის პირველი საუკუნის მიწურულის მოწმობები, რის მიხედვითაც ქალებს თემის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა ეკრძალებათ. ამდენად, მისიონერულ საქმიანობაში და ღვთისმსახურებისპროცესშიმათიმონაწილეობა შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, ახალი აღთქმის ეს ერთმანეთისგან განსხვავებული შეტყობინებები თანამედროვეობისათვის ერთმნიშვნელოვანი ნორმების გამოყვანის საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად 2021 წლის შემოდგომაზე სამხ. მოციქულთა კრებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „ახალი აღთქმის წერილებში ქალის ღვთისმსახურებაზე და ეკლესიაში აქტიური მონაწილეობის ცალკეული უარმყოფელი გამონათქვამები არ შეიძლება საკმარის არგუმენტად ჩაითვალოს იმისათვის, რომ ქალები სასულიერო თანამდებობიდან გამოირიცხონ. შესაბამისად მოციქულობამ, რომელიც დოქტრინალურ უფლებამოსილებას ფლობს და ეკლესიაში წესრიგის დამყარება ევალება, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.“

ახალი აღთქმის შესაქმეს ისტორიები კაცისა და ქალის თანასწორობასა და თანაბარ ღირსებაზე მოწმობს. მოციქულთა ეპისტოლეებიდან ზოგიერთი მათგანი მაინც აკეთებს განსხვავებებს. და არა მარტო ამიტომ ისმის ეს კითხვა: რას ამბობს იესო ქრისტეზე ამაზე? ამაზე ამ მოძღვრებითი წერილის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

ქალების ორდინაცია - მოძღვრებასთან დაკავშირებული მიმოხილავა

2022 წელი ახალსამოციქულო ისტორიის წიგნებში შევა, ვინაიდან ეკლესიამ კითხვას, რომელიც 160 წელს ითვლის, პირველად უპასუხა მოძღვრების შესაბამისად. იგი 2023 წლიდან ამოქმედდება - ქალთა ორდინაციის დაშვების შესაძლებლობით.

ფოტო: ანდრეას როთერი

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი ვიდეოს გადაღების დროს, როცა ქალების ორდინაციაზე საუბრობს

ტრადიციულად ახალსამოციქულო ეკლესია პრინციპში მხოლოდ კაცებს მოუწოდებდა დიაკვნის, მღვდლისა და მოციქულის მსახურებისკენ. რაღაც გამონაკლისის სახით მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ქალი-დიაკვნების დანიშვნასაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ არც ერთი და არც მეორე საკმარისად არ იყო დასაბუთებული როგორც მოძღვრება.

კატეხიზმოზე მუშაობასთან ერთად ნელ-ნელა პასუხიც მოვიდა, ვინაიდან ეკლესია მზად იყო, გადაემოწმებინა, დაეკონკრეტებინა და განეახლებინა მთელი მოძღვრება. დროის სიმცირის გამო გამოქვეყნებამდე, 2012 წელს, მხოლოდ ეკლესიისა და საიდუმლოების გაგების სრული დამუშავება გახდა შესაძლებელი. სასულიერო თანამდებობის გაგებაში დამატებები იქნა შეტანილი.

სრული სურათი ერთი შეხედვით

მისი ყოვლისმომცველი ჩამოყალიბება 2014 წლიდან დაიწყო. ასახსნელი იყო შემდეგი კითხვები:

- პირველი: რა არის სასულიერო თანამდებობა?
- შემდეგ: როგორ ფუნქციონირებს სასულიერო თანამდებობა?
- და მხოლოდ ამის მერე: ვის შეუძლია სასულიერო თანამდებობის ტარება?

შედეგები წერილობით დამუშავდა: შუალედური შედეგების შესახებ ინფორმაცია პირველმოციქულმა 2017 წელს გაავრცელა. ხოლო 2019 წლის ორმოცდაათობაზე ამოქმედდა სასულიერო თანამდებობისა და ხელმძღანელი ფუნქციების გამიჯვნის დადგენილება.

ბიბლია ლუპის ქვეშ

კითხვების „რა“ და „როგორ“-ის მერე დებატები გაიმართა კითხვაზე „ვინ“. ამის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიის სათანადო შეფასებით. პრინციპში აქაც სამი კითხვაა წამოჭრილი:

- რას ამბობს ღმერთი?
- რას ამბობს იესო ქრისტე?
- რას ამბობს მოციქულთა ეპისტოლეები?

შემოქმედების ისტორია ნათლად წარმოაჩენს ღვთის ნებას: მან ერთნაირად შექმნა კაცი და ქალი მისი ხატისამებრ - ერთანაირი ღირებულებით, ერთნაირი ღირსებით და ცხოვრების ფორმირებაზე ერთნაირი პასუხისმგებლობით.

მდგომარეობა იესო ქრისტესთან უფრო გაურკვევლია: ამ საკითხთან დაკავშირებით

მას არაფერი უთქვამს. მისი მოქმედება ორაზროვანია. ვინაიდან, ერთი მხრივ, ის ქალებს უკეთესად ექცეოდა, ვიდრე მაშინ იყო მიღებული, მეორე მხრივ კი, მან მოციქულებად მხოლოდ კაცებს მოუწოდა. თუ ეს იქნება ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი, მაშინ იმაშიც უნდა მივყვეთ მას, რომ მხოლოდ იუდეველებს მოუწოდა მან.

წინაღმდეგობები გვხვდება მოციქულთა ეპისტოლეებშიც: ქალს ხან აქვს ღვთისმსახურებაზე წინასწარმეტყველების უფლება, ხან კი დუმილი უნდა შეინარჩუნოს. უარი იმით არის დასაბუთებული, რომ ცოდვა ამქვეყნად ევამ შემოიტანა, თუმცა სხვა ეპისტოლეები ზუსტად ამ დანაშაულს ადამში ხედავენ.

გადაწყვეტილება ყველასათვის

რა შედეგები გვაქვს, საბოლოო ჯამში? კარგი ღვთიური შემოქმედება კაცისა და ქალის თანასწორობას ითვალისწინებს. შეუძლებელია, რომ ყველაფერი, რაც იესოს მაგალითთან ან მოციქულთა ეპისტოლეებთან მიმართებაში ამის საპირისპიროდ ლაპარაკობს - თუნდაც უბრალოდ - შემოქმედის ნებას ეწინააღმდეგებოდეს.

ამდენად, ეკლესიის მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება მოციქულობაზეა დამოკიდებული. აქვთ კი მათ ამის უფლება? რა თქმა უნდა: ვინაიდან თავად იესომ მიანიჭა მოციქულებს იმის უფლებამოსილება, რომ „გახსნან და შეკრან“, ე. ი., რეგულაციები სავლდებულოდ გამოაცხადონ.

ამდენად, სამხ. მოციქულთა კრებამ 2022 წელს ყველა მოციქულთან კონსულტაციის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, „რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების მინიჭება ქალებისთვისაც შესაძლებელია.“ თუმცა: „ამასთან დაკავშირებული თანამდებობრივი დავალების მიცემა მოხდება იქ, სადაც ეს საზოგადოებისა და თემისათვის არის მისაღები.“ ვინაიდან კულტურული აპექტების გათვალისწინება არა მხოლოდ წარსულის ბიბლიური ანალიზის დროს უნდა მოხდეს, არამედ თანამედროვე რეალობაშიც.

ქალები ბიბლიიდან

ფოტო: ნიგერიის ახსე

დევიზით „Teach me to teach” (მასწავლე სწავლა) ნიგერიელი ქალები ორდღიან ივენთზე - 9-დან 10 აპრილამდე - შეიკრიბნენ, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო გამიზნული. ტრადიციულ სამოსში გამოწყობილებმა, ეკლესიის ლოგოთი და სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის განკუთვნილი მაისურებით, უპ. ყოვლისა, ერთი მთავარი რამ განიცადეს: ერთობა. სემინარების, ვორკშოპებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოხსენებების დროს ბევრი ისეთი რამ ისწავლეს, რისი გადაცემაც საკუთარ თემებში შეეძლებათ. შიგადაშიგ ბევრს მღეროდნენ. მოციქულმა ოსკარ კაბანგა ნვანცამ ამ ივენთის ბოლოს, ბზობაზე, ღვთისმსახურება ჩაატარა. ქადაგების დროს იგი ბიბლიაში ნახსენებ სამ განსაკუთრებულ ქალზე შეჩერდა: დებორაზე, ესთერზე და მარიამ მაგდალელეზე.

პროგრამა

02.07.2023 წ.	კაბინდა (ანგოლა)
09.07.2023 წ.	დასადგენია (ფინეთი)
16.07.2023 წ.	კინშასა (კონგოს დრ)
18.07.2023 წ.	იდიოფა (კონგოს დრ)
23.07.2023 წ.	კანანგა (კონგოს დრ)
30.07.2023 წ.	ზაარბრიუკენი (გერმანია)
06.08.2023 წ.	პერთი (ავსტრალია)
09.08.2023 წ.	ადელაიდა (ავსტრალია)
11.08.2023 წ.	ტამა (იაპონია)
13.08.2023 წ.	ჩუნჩეონი (სამხრ. კორეა)
17.09.2023 წ.	ბერნი-ოსტერმიუნდინგენი (შეიცარია)
24.09.2023 წ.	ერი (აშშ)

New Apostolic Church
International